

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/08

ქ. ბათუმი

28 ივლისი 2015 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>ე</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. განისაზღვროს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტები (თან ერთვის) და შესათანხმებლად წარედგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“.
3. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის  
პრიორიტეტები

2015-2016 წლების პროგრამული

აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭო

## სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

### 2015-2016 წლების პროგრამული პრიორიტეტები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ არის კანონით შექმნილი ინსტიტუცია. შესაბამისად, მისი საქმიანობის პრინციპებს განსაზღვრავს კანონი, ხოლო მიმართულებასა და პროგრამულ პრიორიტეტებს, ასევე მიმართულებათა შორის თანაფარდობებს, ადგენს მრჩეველთა საბჭო და შესათანხმებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო კანონით განსაზღვრული მოვალეობებისა და უფლებების მიხედვით, სხვა ანალოგიური მაუწყებლების საქმიანობის, ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების, ავტორიტეტული მედია სადამკვირვებლო ორგანიზაციების მონიტორინგის შედეგებისა და გასული სატელევიზიო და რადიოს სეზონის გამოცდილების გათვალისწინებით, ადგენს ახალ პროგრამულ პრიორიტეტებს.

- განვლილი სეზონის შეფასება მოქმედი პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით

განვლილი პერიოდის განმავლობაში აჭარის ტელევიზია და რადიო ცდილობდა დაეცვა პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული თანაფარდობა და მიეღწია ხარისხისათვის, რითაც დააკმაყოფილებდა მაყურებლის ინტერესს. „აჭარის ტელევიზია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ძალისხმევას არ იშურებდა საკუთარი სამაუწყებლო პრიორიტეტების შესასრულებლად, თუმცა მათ განხორციელებას ყოველთვის ვერ ახერხებდა.“ - აღნიშნულია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგის ანგარიშში, 24 თებერვალი 2015 წელი.

მრჩეველთა საბჭოს მიაჩნია, პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული თანაფარდობა მეტნაკლებად მიღწეულია ტელევიზიის მიერ ახალი ამბების,

სოციალურ-პოლიტიკური, შემეცნებითი, მხატვრული და სპორტის მიმართულებით. თუმცა, ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბუნებიდან გამომდინარე სპორტს მეტი დრო უნდა დათმობოდა. არ მოხერხდა საბავშვო გადაცემების მომზადება და შექნილი მექანიკური პროდუქციის მეშვეობით მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა პრიორიტეტით განსაზღვრული თანაფარდობა. არადამაკმაყოფილებელი იყო აგრეთვე საგამოძიებო ჟურნალისტიკის ხარისხი და პერიოდულობა. „აჭარის ტელევიზიისა და სხვა ტელეარხების მიმართ აჭარის მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა“

განვლილი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ძირითადად ცდილობდა დაეცვა პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული მიმართულებები და პროპორციები. ასევე, აესახა ეთერში ყველა სოციალური ფენის ინტერესი, თუმცა ნაკლებად გამოხატავდა ყველა ასაკის მომხმარებლის მედიამოთხოვნილებას. ახალი ამბების მეშვეობით ცდილობდა ინფორმაცია მიეწოდებინა მაყურებლისათვის და მსმენელისათვის ყველა იმ მნიშვნელოვანი პროცესის, მოვლენის, პრობლემისა თუ აქტივობის შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის მოსახლეობისათვის.

#### • შესავალი პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისათვის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გარკვეული მიღწევების მიუხედავად რჩება მიმართულებები, რომლებიც მეტი ყურადღებისა და რესურსების მოხილვას საჭიროებენ. ზემოთ აღნიშნული საგამოძიებო ჟურნალისტიკის, საბავშვო და სპორტული მიმართულებების გარდა ეს ეხება სოციალურ-პოლიტიკური თემების უფრო ღრმა და ანალიტიკურ მიწოდებას მაყურებლისადმი. ეს დასტურდება, როგორც 2014 წლის აგვისტოს, ასევე 2015 წლის მაისის კვლევებით. ამდენად, გარდა არსებული სოციალ-პოლიტიკური სატელევიზიო და რადიო პროექტებისა, უნდა გაჩნდეს სხვა ანალიტიკური ხასიათის გადაცემები. ხოლო უკვე მოქმედმა პროექტებმა, ასევე საინფორმაციო სამსახურმა გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში მაყურებლის მოთხოვნა მეტ ანალიზსა და ხარისხზე. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლების მედიამონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „აჭარის ტელევიზიამ და რადიომ წარმატებით გაართვა თავი განვლილი საარჩევნო პერიოდის გაშუქებას“ - აღნიშნულია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგის ანგარიშში, 24 თებერვალი 2015 წელი. მრჩველთა საბჭოს მიაჩნია, რომ დაგროვილი გამოცდილება და წარმატება შესაძლებელია კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს და დაიხვეწოს მომავალ საარჩევნო პერიოდში. კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამებისა და პრიორიტეტების გაშუქებას. მათ კრიტიკულ ანალიზსა და რეალობასთან შესაბამისობის განხილვას.

<sup>1</sup> აღნიშნული კვლევა მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით ჩატარდა 2015 წლის მაისში „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ. ეს კვლევა გამოქვეყნდება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ვებგვერდზე.

შემეცნებითი მიმართულებით კულტურული, სამეურნეო და ფოლკლორული მიმართულებების პროექტები ერთი მხრივ საზოგადოების დაკვეთა იყო, თუმცა 2015 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა (დაბალი რეიტინგით) გარკვეული პროექტების არასათანადო ხარისხიც და ამიტომ მათი კორექტირების ან მიზანშეწონილობის თემაც გააჩინა.

შესაბამისად, მომდევნო სატელევიზო სეზონისათვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გადაცემებს, რომელებიც მიმართული იქნება მაყურებლის (მსმენელის) სამართლებრივი და სამოქალაქო კულტურის ამაღლებისაკენ. ადამიანის უფლებების, პიროვნების თავისუფლებისა და ასპარეზის სათანადოდ გააზრებისაკენ, რეგიონის სოციალური სტრუქტურის, კულტურული ინერციისა და ტრადიციების ფონზე.

სატელევიზო და რადიო პროდუქტი უნდა აღწერდეს რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ყოფას, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, ზოგად ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის ხარისხსა და პრობლემატიკას. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის შრომითი, ბიოლოგიური და ეკოლოგიური პრობლემების გააზრებასა და აქტუალიზაციას.

საქართველოს ევროპული არჩევანისა და ნატოსადმი ინტერსის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ მთელ თავის საქმიანობაში უნდა შეინარჩუნოს კანონით გათვალისწინებული ხაზი. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-20 მუხლი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს აქვს კანონით განსაზღვრული ვალდებულება ეთერში გადასცეს გარეწარმოებით შექმნილი პროდუქტი. განვლილი პერიოდის განმავლობაში დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომელმაც წარმოაჩინა ამ პროცესის, როგორც პოზიტიური, ასევე პრობლემური ხასიათი. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, მრჩეველთა საბჭო, მოცემული დოკუმენტით ადასტურებს, მის მიერ გაცემული რეკომენდაციის სულისკვეთებას და აზუსტებს მას:

უნდა გაგრძელდეს გარე წარმოება.<sup>3</sup>

ტელეპროდუქტის საწარმოებლად განსაზღვრული მთელი ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსი გათვალისწინებული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში და შეფასდეს სათანადო ფინანსური მოცულობით ისე, რომ პროდუქტი შეიქმნას ტელევიზიის რესურსების ყოველგვარი გამოყენების გარეშე.

გარე წარმოებით შეიძლება მომზადდეს ისეთი პროდუქტი, რომელიც არ იქნება განსაზღვრული პირდაპირი ეთერისათვის.

<sup>3</sup> „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

## • პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებელი არის შესაძლებლობა პოზიტიური გავლენა მოახდინოს საზოგადოების უმთავრეს პრობლემებსა და გამოწვევებზე და აქტიური როლი შეასრულოს საზოგადოების განვითარებაში. შეასაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტი უნდა შესაბამისობაშიდეს მსაყურებლისა და მსმენელის ინტერესებს, ასევე უნდა პასუხობდეს საზოგადოებრივი პროგრესის საჭიროებებსაც. აქედან გამომდინარე, მოცემული პროგრამული პრიორიტეტებით საბჭო ცდილობს გამოაჩინოს ბალანსი ამ ორ კომპონენტს შორის. ამასთანავე ანგარიშს უწევს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს.

მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო განსაზღვრავს ოთხ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

### პროგრამული პრიორიტეტები (პროცენტული მაჩვენებლებით):

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება - 30%;
2. საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი მიმართულება - 25%;
3. საბავშვო პროგრამების მიმართულება - 5%;
4. გასართობი და სპორტული პროგრამების მიმართულება - 40%;

#### 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

ამ მიმართულების გადაცემების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემდეგ საკითხებს:

##### 1.1. ახალი ამბები;

ახალი ამბების გამოშვებები უნდა ასახავდეს ქვეყანაში და უმთავრესად რეგიონში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს და მოიცავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ესენია - საზოგადოება, პოლიტიკა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, თვითმმართველობა, ეკოლოგია, უმცირესობები, ადამიანის უფლებები, განათლება, მეცნიერება, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, სამართალი, რელიგია, კულტურა, ტურიზმი, ახალგაზრდობა, სპორტი და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აჭარის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე მოვლენებს.

#### 1.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები;

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესები მუდმივად საჭიროებს ანალიზს, საზოგადოების ჩართვას, პასუხისმგებელი პირების მიერ კითხვებზე პასუხის გაცემას, საზოგადოების ინფორმირებას. ამიტომ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ (ან თოქ-შოუები) მომზადდეს შიდა წარმოებაში, რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში.

პერიოდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ (ან თოქ-შოუები), ახალი ამბების მსგავსად, უმთავრესად უნდა ასახავდეს აჭარის რეგიონში მიმდინარე აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, ამავე დროს, ტელევიზიამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების სტუდიაში დასწრება.

#### 1.3. საგამოძიებო ჟურნალისტიკა;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟურნალისტურ გამოძიებას, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებას. წელიწადში უნდა მომზადდეს მინიმუმ თორმეტი გადაცემა.

#### 1.4. აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების ვრცელი სპეცრეპორტაჟები;

პირდაპირი რეპორტაჟები ოფიციალური ღონისძიებებიდან აჭარის ტელევიზიის ეთერში სრულად უნდა გადაიცეს იმ შემთხვევაში, თუკი ეს ღონისძიება იმართება აჭარის რეგიონში, უკავშირდება აჭარას, ან იწვევს დიდ საზოგადოებრივ ინტერესს.

#### 1.5. ყოველკვირეული ანალიტიკური ტელეჟურნალი;

სოციოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა მოსაზრებით, აჭარის ტელევიზიას ყველაზე მეტად აკლია საინფორმაციო, კონკრეტულად კი ანალიტიკური შინაარსის გადაცემები. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კვირაში ერთხელ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ნაცვლად ეთერში გავიდე სინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა.

#### 2. საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი მიმართულება

2.1. დარგობრივმა თოქ-შოუებმა მოიცვას შემდეგი თემატიკა: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სპორტი, სამართალი, განათლება, მედიცინა, ეკოლოგია, გენდერული პრობლემატიკა, ხელოვნება;

2.2. საავტორო პროგრამები;

უნდა გაგრძელდეს და უფრო თანამედროვე ფორმა მიიღოს არასტუდიურმა პროგრამებმა თანამედროვე მუსიკის, სოფლის მეურნეობის, მეღვინეობის, თეატრისა და ხელოვნების, სოფლის ყოფის, ეკომიგრანტებისა და ფოლკლორის შესახებ. ასევე უნდა მომზადდეს ახალი პროგრამები შემდეგ თემატიკაზე - ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა (რეგიონის სინამდვილის გათვალისწინებით), თანამედროვე კინოს განვითარების ტენდენციები, საზოგადო მოღვაწეები აჭარის ახალი ისტორიიდან და სხვადასხვა აქტუალურ თეორიულ და სამეცნიერო თემატიკაზე დიალოგის ფორმატის გადაცემა. მიზანშეწონილია, მომზადდეს შექმნილი ხასიათის პროგრამათაშორისები სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური და ისტორიული თემატიკით.

2.3. დოკუმენტური ფილმები;

აუცილებელია გაგრძელდეს და კიდევ უფრო განვითარდეს დოკუმენტური ფილმების წარმოება (შიდა წარმოებით, ან გარე შესყიდვით). დოკუმენტური ფილმები უნდა იყოს აჭარის რეგიონთან დაკავშირებული და უნდა წარმოაჩენდეს შორეულ, ან ახლო წარსულს, დღევანდლობას, გამოჩენილ, ან შედარებით უცნობ პიროვნებებს, საინტერესო მოვლენებს. დოკუმენტური ფილმები არ უნდა წარმოადგენდეს პერიოდულ სატელევიზიო პროგრამას და თითოეულის დამზადებისთვის განსაზღვრული იყოს სხვადასხვა დრო - სირთულიდან გამომდინარე.

სატელევიზიო ეთერში თითქმის ყოველდღიურად უნდა განთავსდეს უცხოური დოკუმენტური ფილმები, პროგრამები და სერიალები, რომელიც უმთავრესად უნდა ეძღვნებოდეს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ანალიზსა და მიღწევებს, საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს.

3. საბავშვო პროგრამების მიმართულება

3.1. საბავშვო პროგრამა;

სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა დაახლოებით 25% მიიჩნევს, რომ არხს საბავშვო გადაცემები აკლია. ამ ჟანრის განვითარებას მრჩეველთა საბჭო სტრატეგიულ პრიორიტეტად მიიჩნევს, ამიტომ, ეთერი უნდა დაეთმოს ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, მაღალი სტანდარტებით

დამზადებულ პროდუქციას. ახალი სეზონის განმავლობაში მომზადდეს (შიგა წარმოებით, ან დაკვეთით) მინიმუმ ერთი საბავშვო პერიოდული პროგრამა და საფუძველი ჩაეყაროს ამ სატელევიზიო მიმართულების სამომავლო განვითარებას.

### 3.2. საბავშვო ფილმები (შესყიდვა).

საბავშვო მხატვრული და ანიმაციური ფილმები უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც სკოლამდელ, ასევე უმცროს და უფროს სასკოლო ასაკის მსწავლეების ინტერესს.

## 4. გასართობი და სპორტული პროგრამების მიმართულება

### 4.1. აჭარაში გამართული კულტურული ღონისძიებები;

მეტი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს კულტურული ღონისძიებების გადაღება. აჭარის ტელევიზია უნდა შეეცადოს მოიპოვოს უფლება, გადაიღოს და ეთერში განათავსოს აჭარაში გამართული მნიშვნელოვანი ფესტივალები, კონცერტები, სახალხო დღესასწაულები.

### 4.2. სპორტული ღონისძიებები;

პირდაპირ სატელევიზიო ეთერში უნდა განთავსდეს რეგიონის მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები. უნდა მოხდეს ტექნიკური რესურსის სრულყოფა, რათა სამომავლოდ მეტი ინტენსივობითა და გაუმჯობესებული ხარისხით მოხდეს სპორტული რეპორტაჟების პირდაპირ ეთერში გადაცემა.

### 4.3. დილის გადაცემა;

დილის გადაცემა, რომელიც ტრადიციულად ეთერში გადაიციემა შაბათ-კვირას, უნდა გახდეს უფრო დინამიური, მრავალფეროვანი და საინტერესო, უნდა გაიზარდოს რუბრიკებისა და სიუჟეტების ხარისხი.

### 4.4. ტელესპექტაკლები;

ტექნიკური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით უნდა გაგრძელდეს საქართველოს რეგიონული თეატრების სპექტაკლების გადაღება.

### 4.5. მხატვრული ფილმები;

საეთერო დროის გარკვეული წილი აუცილებლად უნდა დაეთმოს ქართულ მხატვრულ ფილმებს.

მაქსიმალური ყურადღებით უნდა მოხდეს უცხოური მხატვრული ფილმების შერჩევა და საეთერო ბადეში განთავსება. რაც შეეხება, მხატვრულ სერიალებს, უმჯობესია იგი იყოს დეტექტიური, ან სათავგადასავლო ჟანრის. სასურველია, კვლავინდებურად გაგრძელდეს და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ეთერში



მეტწილად განთავსდეს ცნობილი რეჟისორების მიერ გადაღებული, მაღალრეიტინგული მხატვრული ფილმები. ასევე ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.

#### 4.6. მუსიკალური კლიპები;

სატელევიზიო ეთერში გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მუსიკას - კერძოდ უცხოურ და ქართულ მუსიკალურ კლიპებს, კონცერტებს, ასევე ცალკეულ მუსიკალურ ნომრებს, მათ შორის ფოკლორულს, აჭარის ტელევიზიის ვიდეო ფონდიდან.

- **ეფექტურობა და რესურსები**

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსური, საკადრო, ინტელექტუალური რესურსების ოპტიმიზაციისათვის, დაიწყოს მუშაობა და გონივრულ ვადებში მომზადდეს განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელშიც გაიწერება პროცესის ძირითადი ეტაპები და ღონისძიებები. დაზუსტდება ტექნიკური განახლების ზოგადი გრაფიკი და საკადრო მომზადებისა და გადამზადების დინამიკა.